გაითვალისწინეთ, აღნიშნული ტესტი არის მხოლოდ ფინალური ტურის ნიმუში. ფინალურ ტურში დაგხვდებათ 12 საკითხი. გისურვებთ გამარჯვებას!

მე- 6 კლასი

1. **(4 ქულა)** სიტყვა **"მათემატიკოსი"** ასოებად დაშალეს და ცარიელ ყუთში ჩააწყვეს. შემდეგ ყუთიდან ერთი რომელიღაც ასო ამოიღეს, რა არის იმის შანსი, რომ ამოღებული ასო **"ა"** იქნება?
ა. 1/12 ბ. 1/4 გ. 3/4 დ. 1/6

შეკითხვებს უპასუხეთ მოცემული დიაგრამის მიხედვით, რომელზეც ნაჩვენებია 2021 წლის **მზის ნათების ჯამური ხანგრძლივობა საათებში** კინგსლანდიაში თვეების მიხედვით, დაწყებული იანვრიდან.



2. **(8 ქულა)** ჩამოთვლილთაგან რომელ თვეშია მზის ნათების ჯამური ხანგრძლივობა აპრილზე დაბალი?
ა. ივნისში ბ. სექტემბერში გ. ნოემბერში დ. მაისში
3. **(9 ქულა)** ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს ივლისში მზის ნათების ჯამური ხანგრძლივობა?
ა. 200 საათი ბ. 240 საათი გ. 255 საათი დ. 280 საათი
4. **(7 ქულა)** თუ $a + b = 9 - c$ და $a + b = 5 + c$, რა არის c-ს მნიშვნელობა?
ა. 2 ბ. 4 გ. 5 დ. ვერ დავადგენთ
5. **(6 ქულა)** გრეტამ 4 ცალი საშლელი 6.80 ლარად იყიდა.
რომელი განტოლებით შეიძლება განისაზღვროს 1 საშლელის ფასი, p ლარებში?
ა. $p/4 = 6.80$ ბ. $p/6.80 = 4$ გ. $4p = 6.80$ დ. $6.80p = 4$
6. **(7 ქულა)** რომელი მეტია?
A. 1-დან 600-მდე რიცხვებში ციფრი "7"-ის რაოდენობა
B. 1-დან 600-მდე რიცხვებში ციფრი "8"-ის რაოდენობა
ა. A ბ. B გ. თანაბარია დ. ვერ დავადგენთ